Project funded by EUROPEAN UNION

PRO EXTOUR

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

პრეს რელიზი

16 ოქტომბერი 2022

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

PRO EXTOUR: „კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შავი ზღვის აუზის რეგიონში“

ოქტომბერი 16 • კვირა • 16:00 - 18:00 (TBC)

ჩატარების ადგილი: EXPOGEORGIA, 118, აკაკი წერეთლის გამზირი, თბილისი, საქართველო

კონფერენცია

კონფერენცია ჩატარდა
PROEXTOUR შედეგების გავრცელების კამპანიის ფარგლებში

PRO EXTOUR „კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შავი ზღვის აუზის რეგიონში“ არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს შავი ზღვის რეგიონში გამოცდილებაზე დაფუძნებული ტურიზმის მდგრად განვითარებას, ადგილობრივი კულტურისა და მემკვიდრეობის, ინოვაციური გადაწყვეტილებების და შავი ზღვის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პოტენციალის გაძლიერებით. პროექტი ხორციელდება ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) ფარგლებში. PRO EXTOUR არის ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტის (ბულგარეთი), ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სომხეთი), თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის (საბერძნეთი), ხელოვნების საერთაშორისო ცენტრისა (საქართველო) და კულინარიული ხელოვნებისა და სტუმართმოყვარეობის ასოციაციის (ბულგარეთი) ერთობლივი ინიციატივა. პროექტი ხორციელდება 1.06.2020-დან 30.11.2022 პერიოდში.

პროექტში გამოცდილებითი ტურიზმი წარმოდგენილია, როგორც შავი ზღვის აუზის რეგიონის განვითარების უნიკალური შესაძლებლობა. ისტორიისა და მრავალფეროვანი კულტურის გადაკვეთამ მომავალ თაობებს მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვა. რეგიონის უნიკალური ბუნება, ადგილობრივ ტრადიციებთან ერთად, მოგზაურს ცნობისმოყვარეობას უღვივებს. ყველა ზემოხსენებული ფაქტორის ინტეგრაცია შესაძლოა ღირებულ გამოცდილებად იქცეს როგორც მომსახურების მიმწოდებლისთვის, ასევე

ტურისტისთვის. უფრო მეტიც, გამოცდილებითი ტურიზმის სათანადო ხელშეწყობა უზრუნველყოფს სექტორის მდგრადობას.
ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას აქვს მაღალი დამატებული ღირებულება, რადგან ის ახდენს რეგიონული აქტორების შესაძლებლობების მობილიზებას და მათზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას, ეკონომიკურ და სოციალურ სიცოცხლისუნარიანობას ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში.

პროექტის მიერ განხორციელებული შედეგები:

- რეგიონულ საჭიროებათა შეფასების ანგარიში გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის;
- რეგიონული სამოქმედო გეგმა შავი ზღვის აუზის რეგიონში კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის წახალისებისათვის;
- გამოცდილებით ტურიზმის ბიზნეს მოდელების აღრიცხვა;
- საერთაშორისო ბიზნეს კონფერენცია გამოცდილებითი ტურიზმის საკითხებზე;
- მემკვიდრეობაზე დაფუძნებული აქტივობებისა და კულტურული ღონისძიებების საპილოტე აღრიცხვა;
- გამოცდილებითი ტურიზმის რესურსებისა და ინსტრუმენტების ონლაინ საცავი;
- საერთაშორისო კონფერენცია გამოცდილებითი ტურიზმისთვის ციფრული ტექნოლოგიების საკითხებზე;
- გამოცდილებითი ტურიზმი შავი ზღვის ჰაბების ტრანსსასაზღვრო ქსელი;
- საერთაშორისო გამოფენა შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საკითებზე.

კონფერენციის მიზანი იყო დაინტერესებულ მხარეებს გაეცნოთ PROEXTOUR-ის საქმიანობა და პროექტის შედეგები. მიეღოთ ინფორმაცია პოსტმოდერნისტული ტურისტების მოთხოვნებზე, არა მხოლოდ მომსახურების ხარისხის, არამედ დანიშნულების ადგილით სარგებლობისა და დასვენების დროის გატარების ინოვაციური გზების თვალსაზრისით. მონაწილეებმა განიხილეს საქართველოში გამოცდილებაზე დაფუძნებული კულტურული ტურიზმის განვითარების არსებულ ტენდენციები, გამოწვევები და შესაძლებლობები და ამით ხელს შეუწყეს რეგიონში მდგრადი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების შესაძლებლობების გაზრდას პოსტპანდემიურ პერიოდში.

კონფერენციის დასასრულს გაიმართა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ღონისძიებების ვიდეო ჩვენება და მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ პროექტის ონლაინ საცავისთვის შექმნილ მოკლემეტრაჟიანი ფილმებს.